ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 161

ქალაქი ქუთაისი 27 მარტი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული
უძრავი ქონების, დაუზუსტებელი მონაცემების დაზუსტების
თაობაზე, კონფიგურაციისა და ფართის ცვლილებით, ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის
მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის №01/6737 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და ბესიკის ქუჩის პირველი შესახვევის გადაკვეთის აღმოსავლეთით (ფართობით 429,00 კვ.მ. საკადასტრო კოდი №03.04.02.429) მდებარე უძრავი ქონების (სკვერის), დაუზუსტებელი მონაცემების დაზუსტების თაობაზე, კონფიგურაციისა და ფართის ცვლილებით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია